

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-56/ნ

2020 წლის 6 ივნისი

ქ. თბილისი

სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ჩასატარებელ სავალდებულო ტესტირების პროცესზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³ მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული იზოლაციისა და კარანტინის წესების 3² მუხლისა და მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 1

1. დამტკიცდეს თანდართული „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ჩასატარებელი სავალდებულო ტესტირების პროცესზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების წესი და პროცედურები“ №1 დანართის შესაბამისად.

2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, 2020 წლის 23 მაისიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების წესისა და პროცედურების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 20 მაისის №01-50/ნ ბრძანება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 2

1. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ ბრძანების მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 23 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის გათვალისწინებით.





სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ჩასატარებელი სავალდებულო ტესტირების პროცესზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების წესი და პროცედურები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ – ჯანდაცვის სამინისტრო) მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების წესი და პროცედურები (შემდგომ – წესი) შემუშავებულია იმისთვის, რომ მოხდეს სამუშაო ადგილებზე „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით (შემდგომ – საქართველოს მთავრობის №322 დადგენილება) დამტკიცებული იზოლაციისა და კარანტინის წესების მე-9 მუხლისა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის აღსრულება და ამ მიზნით სამუშაო ადგილებზე სავალდებულო ტესტირების, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და კონტროლი.

2. ამ ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებასა და „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებით (შემდგომში – საქართველოს მთავრობის №975 განკარგულება) დამტკიცებული №1 დანართის (კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხა და ჩატარების წესი) პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების ტესტირების პროცესზე გეგმურ კონტროლს ახორციელებს ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური (შემდგომ – შრომის ინსპექცია) უშუალოდ ან/და შემდეგი საზედამხედველო უწყებების დახმარებით:

ა) ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომ – სოციალური მომსახურების სააგენტო);

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – სურსათის სააგენტო);

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომ – ზედამხედველობის სააგენტო);

დ) თვითმმართველი ქალაქი და მუნიციპალიტეტი, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შედგომ – მუნიციპალური სამსახური (ტერიტორიულობის მითითებით)).

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული უწყებებისა, სტომატოლოგიური დაწესებულების მიერ გადაუდებელი და გეგმური სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის დროს, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო (შემდგომ – რეგულირების სააგენტო) უშუალოდ ან/და შრომის ინსპექციის დახმარებით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტომატოლოგიური დაწესებულების მიერ გადაუდებელი და გეგმური სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის დროს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების წესი და პროცედურები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. პირის მიერ სამუშაო ადგილებზე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ტერიტორიული სამსახურების მიერ – მხოლოდ იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ამ სამსახურების უფლებამოსილება ვრცელდება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 14 იანვრის ბრძანება №01-3/ნ - ვებგვერდი, 15.01.2021წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 2. რეგულირების სფერო და მიმართულებები

1. ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებული უწყებები ახორციელებენ სამუშაო ადგილებზე ჩასატარებელი ტესტირების პროცესის და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგს შემდეგი მიმართულებებით:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირის (ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი – სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად)

(ფიზიკური/იურიდიული) მიერ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულების შემოწმების, სათანადო კითხვარისა და შემოწმების აქტის შევსების, ასევე რეკომენდაციების შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გაცემის მიზნით;

ბ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირის (ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი – სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად) (ფიზიკური/იურიდიული) მიერ საქართველოს მთავრობის №975 განკარგულების შესაბამისად ტესტირების განხორციელების პროცედურების დაცვის შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე საქმიანობის განხორციელების დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გაცემის ან გეგმური შემოწმების განხორციელების მიზნით.

2. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უწყებები ახორციელებენ სამუშაო ადგილებზე საქართველოს მთავრობის №975 განკარგულების შესაბამისად ტესტირების განხორციელების პროცედურების დაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლს შემდეგი მიმართულებებით:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირის (ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი – სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად) მიერ საქართველოს მთავრობის №975 განკარგულების შესაბამისად ტესტირების განხორციელების პროცედურების დაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შემოწმების, სათანადო კითხვარისა და შემოწმების აქტის შევსების, საქმისწარმოების სხვა მასალების მოძიებისა და შეგროვებული დოკუმენტაციის შრომის ინსპექციაში გადაგზავნის მიზნით (განხორციელდება ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უწყებების მიერ, გარდა შრომის ინსპექციისა);

ბ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირის (ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი – სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად) მიერ საქართველოს მთავრობის №975 განკარგულების შესაბამისად ტესტირების განხორციელების პროცედურების დაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შემოწმების, სათანადო კითხვარისა და შემოწმების აქტის შევსების, საქმისწარმოების სხვა მასალების მოძიებისა და შეგროვებული დოკუმენტაციისა და ჩატარებული შემოწმების შედეგების შესწავლის, ხოლო დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მიზნით (განხორციელდება – შრომის ინსპექციის მიერ).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე კონტროლის განხორციელების დროს პირის მიმართ კონტროლის განხორციელებისას დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შედგება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის, საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ფორმისა

და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 20 აპრილის №01-36/ნ ბრძანებით (შემდგომში – მინისტრის 2021 წლის 20 აპრილის №01-36/ნ ბრძანება) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პირი არღვევს საქართველოს მთავრობის №322 დადგენილების, საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრულ სამუშაო ადგილებზე ტესტირების პროცედურებსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით განსაზღვრულ წესებს და მოთხოვნებს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №01-72/ნ - ვებგვერდი, 13.08.2021წ.

მუხლი 3. საქმიანობის ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გაკეთებული განაცხადი

1. პირმა, მისი საქმიანობის ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებთან შესაბამისობის დადგენის შემოწმების განხორციელების მიზნით რეგისტრაცია უნდა განხორციელოს ელექტრონულად, ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით (www.moh.gov.ge) პორტალზე www.orginspect.moh.gov.ge.

2. პირის მიერ განაცხადი უნდა შეივსოს კონკრეტულად იმ საქმიანობის მიმართულებით, რომლის განხორციელებაც არ არის ნებადართული ვირუსის გავრცელების პრევენციის გამო, თუმცა საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია ამ საქმიანობის გახსნა ან/და პირი საჭიროებს შრომის ინსპექციის მიერ გაცემულ სათანადო დასკვნას საქმიანობის განხორციელების თაობაზე.

3. პირმა, რომელსაც შეჩერებული აქვს საქმიანობა ეპიდსიტუაციის გამო, უნდა შეავსოს განაცხადი ელექტრონული ფორმით, რომელიც ავტომატურად (გაგზავნის ფუნქციის გამოყენების შემდგომ) იგზავნება ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციაში.

4. შრომის ინსპექცია აკეთებს მიღებული განაცხადების სტრუქტურულიზაციას მათი რიგითობის და საქმიანობის გახსნის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. განაცხადს შრომის ინსპექცია პროფილის შესაბამისად აგზავნის სათანადო უწყებაში, რათა მოხდეს საქმიანობის ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებთან შესაბამისობის შემოწმება.

5. შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პირს საქმიანობის უფლება მიენიჭება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობების გახსნის გეგმის შესაბამისად (გარდა სასტუმროებისა).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 3¹. საქმიანობის საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გაკეთებული განაცხადი

1. საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად, სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა ტესტირების შედეგად ეკონომიკური საქმიანობის უფლების მოპოვების მიზნით, ტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა ნუსხა და ტესტირების ჩატარების პერიოდულობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. პირმა, რომელსაც სურს საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით ნებადართული იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დადგენილი წესით სავალდებულო ტესტირებას, რეგისტრაცია ტესტირების განხორციელების მიზნით უნდა განახორციელოს ელექტრონულად, ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.moh.gov.ge) განთავსებული ელექტრონული პლატფორმის (www.labour.moh.gov.ge) მეშვეობით.

3. პირის მიერ ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრაცია მოიცავს ელექტრონულ პლატფორმაზე (www.labour.moh.gov.ge) წვდომის უფლების მიღებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მინიჭებული მომხმარებლის/პაროლის მეშვეობით.

4. ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრაციის შემდეგ პირი ვალდებულია შეიყვანოს ბაზაში განთავსებული ინფორმაცია სრულად (შესავსები ველების შესაბამისად) მათ შორის მონაცემები ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი მთავარი ორგანიზაციის, მასში განთავსებული ყველა ნებადართული ობიექტის, თითოეულ ობიექტზე საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ (პირის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემებს მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სამუშაო ადგილი).

5. ელექტრონულ პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსებაზე, სრულყოფილებასა და სისწორეზე პასუხისმგებელია პირი (ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომის უფლების მქონე სამეწარმეო სუბიექტი), რომელსაც აქვს საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დაკისრებული ვალდებულება, რომ მოახდინოს მის ობიექტზე მომუშავე პირების სავალდებულო ტესტირება.

6. ამ ბრძანებითა და საქართველოს მთავრობის №975 განკარგულების შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავალებით შრომის ინსპექციის ხელმძღვანელი – მთავარი შრომის ინსპექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათ უფლებამოსილებებს ინფორმაციის დამუშავების მოცულობასთან მიმართებაში.

7. ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ დასკვნის მიღების შემდგომ გეგმური (საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დადგენილ ვადაში მომდევნო სავალდებულო ტესტირება) ტესტირებისა და პროცედურების დაცვის შემოწმებას/კონტროლს (მათ შორის ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომით) ახორციელებს შრომის ინსპექცია, ხოლო მითითებული მონაცემების/ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც უშუალოდ შრომის ინსპექციის მიერ, ასევე ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უწყებების მეშვეობით.

8. შრომის ინსპექციის ან/და სხვა საზედამხედველო უწყებების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ადგილზე გადამოწმების შედეგად ივსება საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ამ წესის №1.1.1 დანართით განსაზღვრული შემოწმების აქტი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 4. საზედამხედველო უწყებების საქმიანობა

1. საზედამხედველო უწყებები საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით და ამ ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებენ სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცეების, დასაქმებულთა, დამსაქმებელთა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა მიერ/მიმართ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგს/კონტროლს და საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრულ ტესტირების პროცედურებზე გეგმურ მონიტორინგს იმგვარად, რომ მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს თითოეული საზედამხედველო უწყების დარგობრივი მიმართულებები/ფუნქციები. ამასთან, მოცემული შემოწმებისას ზედამხედველი ორგანო არ უნდა გასცდეს ამ ბრძანებით გათვალისწინებული შემოწმების ფარგლებს.

2. აუცილებლობის შემთხვევაში თითოეულ საზედამხედველო უწყებას შესაძლებელია განესაზღვროს ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის (პირის ის სამუშაო სივრცე, სადაც ხდება შემოწმების ჩატარება) შემოწმება, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

3. პირის შემოწმების მიზნით საზედამხედველო ორგანოების დაკომპლექტების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტული საზედამხედველო უწყების უფლებამოსილი პირი.

4. საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით და ამ ბრძანებით განსაზღვრული საზედამხედველო უწყებები (ხელმძღვანელები) შრომის ინსპექციის უფლებამოსილი პირისგან იღებენ იმ ობიექტების სიას, რომელთაც სურთ საქმიანობის განხორციელება ვირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციული ზომების მოქმედების პერიოდში და მათი საქმიანობის ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებთან შესაბამისობის დადგენა ან/და მათი დასაქმებულების მიმართ განსახორციელებელი ტესტირების პროცედურების გეგმური შემოწმება საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით დადგენილი წესით.

5. შრომის ინსპექციის მიერ მიწოდებული სიის შესაბამისად, თითოეული საზედამხედველო უწყება, ამ ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ამოწმებს ობიექტების მიერ საქმიანობის განხორციელებამდე ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულების საკითხს ამ ბრძანების №1.2 დანართებით განსაზღვრული კითხვარების შესაბამისად და ავსებს ამ წესის №1.1 დანართით გათვალისწინებულ შემოწმების აქტს ან/და გასცემს ამ ბრძანების №1.1.1 დანართით განსაზღვრულ საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის თაობაზე შემოწმების აქტს.

6. (ამოღებულია - 31.01.2021, №01-9/6).

7. ინსპექტირების დღის ბოლოს, თითოეული საზედამხედველო უწყება, ობიექტზე განხორციელებული ინსპექტირების საფუძველზე შედგენილ შემოწმების აქტს, სადაც აღნიშნულია შემოწმების შედეგი, ასევე შევსებულ კითხვარს (თანდართული დოკუმენტაციით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) და საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრულ გეგმური ტესტირების პროცედურების შესრულების/შეუსრულებლობის თაობაზე ამ ბრძანების №1.1.1 დანართით განსაზღვრულ შემოწმების აქტს ტვირთავს შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში, რომელიც ავტომატურად იგზავნება შრომის ინსპექციაში.

8. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე უწყების მიერ ვერ ხერხდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ინფორმაციის მიღება/შესაბამისი ანგარიშგება, ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია ყოველი დღის ბოლოს ინსპექტირების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია გადააგზავნოს ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე info@moh.gov.ge, შესაბამისი სამართლებრივი აქტების, მტკიცებულებებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სტატისტიკური მონაცემების მითითებით.

9. თითოეული საზედამხედველო უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის/გამოვლენილი დარღვევის ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და სრულყოფილებაზე პასუხისმგებელია აქტის შემდგენელი პირი, რომელმაც ინსპექტირებისას მოიპოვა, შეაგროვა ინფორმაცია და გამოავლინა დარღვევა.

10. იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდა ეჭვი ზედამხედველი უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის/გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების სისწორეზე, შრომის ინსპექციის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს უკან დააბრუნოს საზედამხედველო უწყების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, მისი ხელმეორედ გადამოწმების მიზნით.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად დაბრუნებული დოკუმენტაცია უნდა გადამოწმდეს ზედამხედველი უწყების მიერ დაუყოვნებლივ, ხოლო გადამოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შრომის ინსპექციას იმავე წესით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 5. საზედამხედველო ჯგუფების უფლებამოსილებანი

ზედამხედველობის განხორციელებისას, საზედამხედველო უწყებების თანამშრომელთაგან შემდგარი ჯგუფის თითოეულ წევრს უფლება აქვს ობიექტზე შემოწმებისას განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

ა) ობიექტზე მოახდინოს საქართველოს მთავრობის №322 დადგენილების, ასევე ამ დადგენილებიდან გამომდინარე, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულების შემოწმება როგორც დასაქმებულების, ასევე დამსაქმებლების და მესამე/სხვა პირების მიმართ;

ბ) შევიდეს და დაუბრკოლებლად გადაადგილდეს ობიექტის ტერიტორიაზე;

გ) მოითხოვოს და მიიღოს კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი;

დ) შეისწავლოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებით დადგენილი ნორმების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა და მოახდინოს მასზე რეაგირება;

დ¹) მოახდინოს სამუშაო ადგილებზე დასაქმებული პირების საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრული ტესტირების პროცედურების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმირება (მათ შორის ტესტირებას დაქვემდებარებული პირების დადებითი შედეგების პროცენტული მაჩვენებლის თაობაზე);

ე) განიხილოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულების საკითხი ადგილზე და ადგილზევე შეავსოს სათანადო კითხვარი და შემოწმების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ობიექტის წარმომადგენელი (ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში შემოწმების აქტში კეთდება სათანადო ჩანაწერი) და საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენელი. ასევე საჭიროების შემთხვევაში ადგილზევე შეავსოს ამ ბრძანების №1.1.1 დანართის შესაბამისად განსაზღვრული შემოწმების აქტი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 6. უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება, გადაწყვეტილების მიღება

1. საზედამხედველო უწყებები ობიექტის ან/და მეწარმე სუბიექტის შემოწმების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას (კითხვარი, შემოწმების აქტი) აწვდიან შრომის ინსპექციას (ელექტრონული ფორმით).

საზედამხედველო უწყებების მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისტემატიზაციას ახორციელებს შრომის ინსპექცია.

2. საზედამხედველო უწყებების მიერ ობიექტის ან/და მეწარმე სუბიექტის შემოწმების შედეგად შედგენილი კითხვარის და შემოწმების აქტის საფუძველზე, შემოწმების მასალების შესწავლისა და შეფასების შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტროს უფლებამოსილი პირის (მინისტრის ან/და სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირის) მიერ მიიღება ერთ-ერთი შემდგომი გადაწყვეტილება:

ა) ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დადებითი დასკვნის გაცემის შესახებ (საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში უთანაბრდება საქმიანობის განხორციელების უფლებას);

ბ) ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უარყოფითი დასკვნის გაცემის შესახებ (საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში უთანაბრდება საქმიანობის განხორციელების უფლებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას);

გ) საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრული ტესტირების პროცედურების შესრულების მდგომარეობის თაობაზე დადებითი/უარყოფითი შედეგის ასახვა ხდება ელექტრონულ პლატფორმაზე (www.labour.moh.gov.ge) განთავსების გზით).

3. პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების მიზნით, შემოწმების განმახორციელებელი უწყება (საზედამხედველო უწყება, ვინც უშუალოდ იმყოფებოდა ობიექტზე შესამოწმებლად) ვალდებულია მიაწოდოს ობიექტს შევსებული კითხვარი ან/და შემოწმების აქტები (მისი ასლი).

4. პირის ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების უარის თქმის შესახებ ეცნობება, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

5. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ ეთანხმება შემოწმების აქტების შინაარსს ან/და კითხვარს მას შეუძლია კითხვარი და შემოწმების აქტები ან/და ელექტრონულად გაცემული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის №975 განკარგულების მოთხოვნების შესრულების/შეუსრულებლობის თაობაზე გაასაჩივროს იმ უწყების ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ვინც შეადგინა შემოწმების აქტი/კითხვარი/გადაწყვეტილება ან სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ვადაში და წესით.

6. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ ეთანხმება საქმიანობის განხორციელების უფლებაზე თანხმობის ან უარის თქმის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია გადაწყვეტილება გაასაჩივროს ამ გადაწყვეტილების მიმღებ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/6 - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 7. უწყებების მიერ შესრულებული სამუშაოს კონტროლი და ანგარიშგება

1. თითოეული საზედამხედველო უწყების თითოეული თანამშრომლის კოორდინაციაზე პასუხისმგებელია მისი უშუალო უფროსი (ტერიტორიული სამსახურები – სამსახურის უფროსი; ცენტრალური სამსახურები – დაწესებულების ხელმძღვანელები).
2. თითოეული საზედამხედველო უწყების ხელმძღვანელი (მათ შორის, ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელები), საზედამხედველო უწყებების მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგების შესახებ ყოველ ორ კვირაში ერთხელ აგზავნის ანგარიშს შრომის ინსპექციაში ფოსტით, ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური მეილის (info@moh.gov.ge) ან დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
3. თითოეული საზედამხედველო ჯგუფის კოორდინაციაზე პასუხისმგებელია ტერიტორიული სამსახურის ხელმძღვანელი/მოადგილე ან უწყების ხელმძღვანელი/მოადგილე ან მის მიერ განსაზღვრული პირი, ხოლო რეგიონული კოორდინაციისათვის გამოიყოფა კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აწვდის შრომის ინსპექციას ტერიტორიული სამსახურებიდან მოწოდებულ ინფორმაციას.
4. შრომის ინსპექცია გარკვეული პერიოდულობით ახდენს საზედამხედველო უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შერჩევით კონტროლს როგორც ადგილზე გადამოწმებით (რაც გულისხმობს საქმიანობის განხორციელების ადგილას მისვლას და შემოწმების მასალების გადამოწმებას), ასევე დისტანციურად (შემოწმების სრული მასალების გადაგზავნის გზით).

მუხლი 8. დარღვევებზე კონტროლის განხორციელების მიზნით პირის საქმიანობების კონტროლი

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირის მიერ საქმიანობის განხორციელებისას ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება შრომის ინსპექციის მიერ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროცესში ჩართული ყველა უწყების მიერ, ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შესამოწმებელი ობიექტების თაობაზე საზედამხედველო უწყებებისათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება შრომის ინსპექციის მიერ და ეს ინფორმაცია შეიძლება გახდეს შემოწმების განხორციელების საფუძველი.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ობიექტზე კონტროლის განხორციელებისას ადგილზე ივსება ამ წესით გათვალისწინებული №1.2 დანართით გათვალისწინებული სათანადო კითხვარი და შედგება №1.1 დანართით გათვალისწინებული შემოწმების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ობიექტის ან/და მეწარმე სუბიექტის (ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში შემოწმების აქტში კეთდება სათანადო ჩანაწერი) და საზედამხედველო უწყებების წარმომადგენელი.

4. შევსებული კითხვარი და შემოწმების აქტი დაუყოვნებლივ გადაიგზავნება შრომის ინსპექციაში, სადაც გამოვლენილი დარღვევების თაობაზე შედგება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოქმი.

4¹. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის გადამოწმება ხორციელდება მხოლოდ საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრული ტესტირების პროცედურების დაცვის გეგმურად გადამოწმების მიზნით, ადგილზე ივსება ამ წესით გათვალისწინებული №1.1.1 დანართით გათვალისწინებული შემოწმების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ობიექტის (ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში კეთდება სათანადო ჩანაწერი) და საზედამხედველო უწყების წარმომადგენელი.

5. მიუხედავად იმისა, რომ პირის საქმიანობის კონტროლი შესაძლებელია ხორციელდებოდეს ასევე ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უწყებების მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილია მხოლოდ შრომის ინსპექცია.

6. ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე რეგულირების სააგენტოს მიერ სტომატოლოგიური დაწესებულებების მხრიდან ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებისას დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში:

ა) რეგულირების სააგენტოს უფლებამოსილი პირი აფიქსირებს გამოვლენილ დარღვევას, შეადგენს შესაბამის აქტს, შეაგროვებს სათანადო მტკიცებულებებს და მიიღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე;

ბ) შრომის ინსპექციის უფლებამოსილი პირი აფიქსირებს გამოვლენილ დარღვევას, შეადგენს შესაბამის აქტს, შეაგროვებს სათანადო მტკიცებულებებს და შეგროვებულ დოკუმენტაციას აგზავნის რეგულირების სააგენტოში სათანადო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მიზნით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/5 - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

მუხლი 9. დარღვევებზე კონტროლის განხორციელებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების წესი

1. ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად, ოქმი ივსება მხოლოდ შრომის ინსპექციის თანამშრომლების მიერ მინისტრის 2021 წლის 20 აპრილის №01-36/5 ბრძანებით დადგენილი წესითა და შემდეგი დათქმების გათვალისწინებით:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მე-5 გრაფაში „დარღვეულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის – გადაიხაზება სიტყვები „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ხოლო გრაფაში ჩაიწერება იმ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი(ებ)ს სახელწოდება, მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი და ქვეპუნქტ(ებ)ი, რომლის დარღვევის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოქმის შედგენის თაობაზე;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მე-6 გრაფა „დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა“ – დარჩება შეუვსებელი და ჩაიწერება სიმბოლო „Z“.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა/ჩაბარდება ობიექტს, რასაც იგი ან მისი უფლებამოსილი პირი დაადასტურებს ხელმოწერით, ხოლო მეორე პირი რჩება ოქმის შემდგენელთან.

3. ობიექტის ხელმძღვანელის ან მისი უფლებამოსილი პირის მხრიდან ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი ოქმზე, ხოლო ოქმი იგზავნება სამართალდამრღვევთან ფოსტის მეშვეობით, არაუმეტეს ორჯერ. ოქმის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ოქმი გამოქვეყნდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.moh.gov.ge და გამოქვეყნების მომენტიდან იგი ითვლება მხარისათვის ჩაბარებულად.

4. ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად შევსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით გათვალისწინებული სანქციის გადახდა უნდა განხორციელდეს ოქმის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. დაკისრებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება დაკისრებული ჯარიმის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. სააღსრულებო ფურცლის ფორმა და მისი შევსების წესი განისაზღვრება მინისტრის 2021 წლის 20 აპრილის №01-36/ნ ბრძანების შესაბამისად, შემდეგი დათქმების გათვალისწინებით:

ა) სააღსრულებო ფურცლის გრაფაში „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი:“ ნაცვლად „ადმინისტრაციული სახდელი, რომელიც გათვალისწინებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის“ ჩაიწერება - „ადმინისტრაციული სახდელი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;

ბ) სააღსრულებო ფურცლის გრაფაში „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი:“ ამოღებულ იქნეს სიტყვები „რისი კანონით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო დაეკისრა საურავი ორმაგი ოდენობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 14 ივნისის ბრძანება №01-58/ნ - ვებგვერდი, 14.06.2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-122/ნ - ვებგვერდი, 30.11.2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №01-72/ნ - ვებგვერდი, 13.08.2021წ.

დანართი №1.1

შემოწმების აქტი

ობიექტის მიერ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პრევენციასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებაზე შემოწმების შედეგი

ვერ აკმაყოფილებს	
სრულად აკმაყოფილებს	
შემოწმების შედეგად მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია:	

საზედამხედველო ჯგუფის წევრების სახელი, გვარი, ხელმოწერა:

დანართი №1.1.1

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 31 იანვრის ბრძანება №01-9/ნ - ვებგვერდი, 31.01.2021წ.

შემოწმების აქტი

„კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის თაობაზე საქართველოს

მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრული ტესტირების პროცედურების გეგმურად შესრულების/შეუსრულებლობის მდგომარეობის შესახებ

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

ორგანიზაციის დასახელება:
საიდენტიფიკაციო ნომერი:
ტელეფონი:
ელ.ფოსტა:
საქმიანობის სფერო:
ობიექტის მისამართი (იურიდიული/ფაქტობრივი):
დაწესებულების ხელმძღვანელი:
საკონტაქტო ინფორმაცია:

2. ინფორმაცია ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა შესახებ:

სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა და ტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა	
სულ დასაქმებულ პირთა რაოდენობა	სულ გატესტილ პირთა რაოდენობა

3. შედეგი:

ობიექტი სამუშაო ადგილზე საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს:	
სრულად აკმაყოფილებს:	
ვერ აკმაყოფილებს:	
შემოწმების შედეგად მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია:	

შევსების თარიღი

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

4. საზედამხედველო ჯგუფის წევრების სახელი, გვარი, ხელმოწერა:

დანართი №1.2

კითხვარი

სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით
ზოგადი რეკომენდაციები

1.

ორგანიზაციის დასახელება:
საიდენტიფიკაციო ნომერი:
ტელეფონი:
ელ.ფოსტა:

2. საქმიანობის სფერო:

3. ობიექტის მისამართი

იურიდიული:

(ქალაქი/რაიონი, ქუჩა, ქუჩის ნომერი)

ფაქტობრივი:

(ქალაქი/რაიონი, ქუჩა, ქუჩის ნომერი)

4. დაწესებულების ხელმძღვანელი:

(სახელი, გვარი)

5. საკონტაქტო პირი:

(სახელი, გვარი)

საკონტაქტო ინფორმაცია:

(ტელეფონი/ელ.ფოსტა)

6. საზედამხედველო ჯგუფის წევრები:

.....

(სახელი, გვარი)

.....

(სახელი, გვარი)

7. ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა

სულ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა რაოდენობა:

ქალი	მამაკაცი	არასრულწლოვანი 18 წლამდე	შპმ პირი	სულ

დისტანციურად დასაქმებული:

ქალი	მამაკაცი	არასრულწლოვანი 18 წლამდე	შპმ პირი	სულ

შევსების თარიღი:

(წელი, თვე, რიცხვი)

სექცია I: მოთხოვნები დამსაქმებლებისათვის			
	მოთხოვნები		მოქმედება/კომენტარი
	დიახ	არა	
არის თუ არა თქვენს სამუშაო სივრცეში ვირუსული ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებები დაგეგმილი საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე იმგვარად, რომ გამოირიცხოს ან მინიმუმამდე დაყვანილ იქნეს ვირუსის გავრცელების ალბათობა (არის თუ არა შეფასებული რისკები სათანადოდ)?			
არის თუ არა კონტროლის ღონისძიებები შემუშავებული სათანადო იერარქიულობით (საფრთხის აღმოფხვრა, ჩანაცვლება, საფრთხეების იზოლირება, მუშაობის სტილის შეცვლა, დასაქმებულთა დაცვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით)?			

ენიჭება თუ არა უპირატესობა საინჟინრო კონტროლის ღონისძიებებსა და ადმინისტრაციული კონტროლის მექანიზმებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებასთან შედარებით?			
სარგებლობენ თუ არა დასაქმებულები (მათ შორის ინფექციაზე საექვო სათანადო სიმპტომების არსებობისას) დისტანციური მუშაობის რეჟიმითა და თვითიზოლაციის/კარანტინის რეჟიმში ყოფნის შესაძლებლობით?			
ობიექტზე ხდება თუ არა დასაქმებულთა ვირუსული ინფექციის სიმპტომების კონტროლი (მათ შორის ტემპერატურული, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს)?			
შემუშავებულია თუ არა ობიექტზე საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა?			
დასაქმებულები სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე არიან თუ არა აღჭურვილი აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღაბი, ხელთათმანი, სპეც.ფეხსაცმელი, სახის ფარი ან/და შესაბამისი სათვალე)?			
შემუშავებულია თუ არა იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც COVID-19-ის ნიშნები ან/და სიმპტომები გააჩნიათ?			
არის თუ არა სამუშაო სივრცეში განთავსებული ინფორმაცია COVID-19-ის შესახებ?			
ადმინისტრაციული შენობის შესასვლელში არის თუ არა განთავსებული დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით?			
სამუშაო ადგილებზე განთავსებულია თუ არა სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები?			
უზრუნველყოფილია თუ არა დასაქმებულებისათვის ხელის დაბანის			

შესაძლებლობა, შესაბამისი საპნითა და სხვა ჰიგიენური საშუალებებით? ხოლო ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, დასაქმებულები უზრუნველყოფილია თუ არა სულ მცირე 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის სადეზინფექციო სითხით?				
აწვდით თუ არა ინფორმაციას დასაქმებულებს ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მის შენახვა/მოცილებაზე?				
დასაქმებულებს აქვთ თუ არა წვდომა ხელის ჰიგიენურ საშუალებებთან და იციან თუ არა მისი გამოყენება?				
არის თუ არა სათანადო ადგილას განთავსებული ხელის ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები?				
ხორციელდება თუ არა ყოველ 2 საათში ერთხელ ხშირად გამოყენებული ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ-გამომრთველი ღილაკებისა და სხვა ზედაპირების დასუფთავება შესაბამისი წესით?				
ხორციელდება თუ არა სატრანსპორტო საშუალებების (თუ ხდება დასაქმებულთა ტრანსპორტირება დამსაქმებლის მიერ) და სამუშაო ადგილების დეზინფექცია ყოველი შესრულებული სამუშაოს შემდგომ?				
არის თუ არა ობიექტზე განთავსებული დახურული კონტეინერები გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის?				
სხვა გარემოებები:				
სექცია II: მოთხოვნები დასაქმებულებისათვის				
		მოთხოვნები		მოქმედება/კომენტარი
		დიახ	არა	

სამუშაო პროცესს ახორციელებთ თუ არ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად?			
იცავთ თუ არა მუშაობისას უსაფრთხო დისტანციას? (არანაკლებ 2 მ)			
სამუშაოების შესრულებისას ხდება თუ არა იმ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი (რა სახის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მოგაწოდათ დამსაქმებელმა)?			
სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას ასუფთავებთ თუ არა სადეზინფექციო საშუალებებით სამუშაო ადგილებს და ხელსაწყოებს?			
გაქვთ თუ არა დრო გამოყოფილი იმისათვის (სანიტარიული შესვენება) რომ მოახდინოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეცვლა, თქვენი პირადი მოხმარების ნივთების მოწესრიგება/დეზინფექცია და ა.შ. თქვენს სამუშაო ადგილას?			
გაქვთ თუ არა წვდომა ხელის ჰიგიენურ საშუალებებზე?			
სხვა გარემოებები:			

შენიშვნა: კითხვარი გამოიყენება ნებისმიერი ობიექტისთვის, ზოგადი რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით. კონკრეტული საქმიანობის შემთხვევაში კითხვარის შევსების დროს, არ მოხდება კითხვარის თავფურცლის შევსება კონკრეტული საქმიანობისათვის.

დამსაქმებლის ხელმოწერა:

საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენლის ხელმოწერა:

დანართი №1.2.1

კითხვარი

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID – 19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ბაზრობებისთვის

1.

ორგანიზაციის დასახელება:
საიდენტიფიკაციო ნომერი:
ტელეფონი:
ელ.ფოსტა:

2. საქმიანობის სფერო:

3. ობიექტის მისამართი
 იურიდიული:
(ქალაქი/რაიონი, ქუჩა, ქუჩის ნომერი)
 ფაქტობრივი:
(ქალაქი/რაიონი, ქუჩა, ქუჩის ნომერი)

4. დაწესებულების ხელმძღვანელი:
(სახელი, გვარი)

5. საკონტაქტო პირი:
(სახელი, გვარი)
 საკონტაქტო ინფორმაცია:
(ტელეფონი/ელ.ფოსტა)

6. საზედამხედველო ჯგუფის წევრები

	<small>(სახელი, გვარი)</small>
	<small>(სახელი, გვარი)</small>

7. ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა
სულ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა რაოდენობა:

ქალი	მამაკაცი	არასრულწლოვანი 18 წლამდე	შშმ პირი	სულ

დისტანციურად დასაქმებული:

ქალი	მამაკაცი	არასრულწლოვანი 18 წლამდე	შშმ პირი	სულ

შევსების თარიღი:

--	--	--	--	--	--	--	--

(წელი, თვე, რიცხვი)

სექცია I: მოთხოვნები დამსაქმებლებისათვის

	მოთხოვნები		მოქმედება/კომენტარი
	დიახ	არა	
დია და დახურულ ბაზრობებზე, ახალი კორონავირუსით (COVID-19) ჯვარედინი დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, არის თუ არა უზრუნველყოფილი მომხმარებელთა ნაკადურობის დაცვა? ამ მიზნით მკაცრად არის თუ არა განსაზღვრული და გამიჯნული ბაზრობის ტერიტორიაზე მომხმარებელთა/მყიდველთა შესასვლელი და გამოსასვლელი, სათანადო სავალდებულო ნიშნების მითითებით?			
ერთიან შესასვლელებში არის თუ არა უზრუნველყოფილი მომხმარებელთა თერმოსკრინინგი და ხელების დამუშავება 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ჰიგიენური ხსნარით?			
თვალსაჩინო ადგილას არის თუ არა განთავსებული ინფორმაცია როგორც ახალი კორონავირუსის პრევენციის, ასევე მოვაჭრეთა და მომხმარებელთა ვალდებულებების შესახებ?			
პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოფილი არის თუ არა დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია?			
ყოველი დღის ბოლოს უზრუნველყოფილია თუ არა ტერიტორიის დეზინფექცია და ჩატარებული სამუშაოების აღრიცხვა?			
არის თუ არა უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დეზინფექცია?			
უზრუნველყოფილია თუ არა ბაზრის ტერიტორიაზე, შესაბამის ადგილას, საკმარისი რაოდენობის ხელსაბანის და საპირფარეშოს ფუნქციონირება?			
უზრუნველყოფილია თუ არა სველი წერტილების დასუფთავება/დეზინფიცირება?			

ხელსაზღვრები არის თუ არა აღჭურვილი შესაბამისი ჰიგიენური საშუალებებით: თხევადი საპონი, ხელსახოცები?			
არის თუ არა გაწერილი პროცედურები კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სავარაუდო სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედების შემთხვევაში?			
კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სავარაუდო სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში, სხვებთან კონტაქტის აცილების მიზნით, გაქვთ თუ არა სპეციალურად მოწყობილი იზოლირებული სივრცე?			
არის თუ არა უზრუნველყოფილი მომხმარებელთა/მყიდველთა შორის სოციალური დისტანციის დაცვა არანაკლებ 2მ მანძილზე?			
არის თუ არა უზრუნველყოფილი უსაფრთხო დისტანციის დაცვა დასაქმებულებს შორის (დახლების შემთხვევაში)? იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება შესაბამისი დისტანციის დაცვა, არის თუ არა გამოიყენებული დროებითი გამყოფი ტიხრები (ბარიერები)?			
სავაჭრო სივრცეში მასობრივი თავშეყრის თავიდან აცილების მიზნით, ხდება თუ არა ერთდროულად მომხმარებელთა/მყიდველთა ნაკადის კონტროლი?			
სავაჭრო დახლების წინ არის თუ არა მონიშნული უსაფრთხო დისტანცია?			
დაშვებულია თუ არა ბაზრობის ტერიტორიაზე მომხმარებელი პირბადისა და ხელთათმანის გარეშე?			

<p>უზრუნველყოფილია თუ არა მოვაჭრე პერსონალისა და მომხმარებლის მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, სათანადო აღნიშვნით, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი? ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა ხდება თუ არა ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით? არის თუ არა უზრუნველყოფილი ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ?</p>			
<p>სამუშაო სივრცეში: დახლებს შორის, სასაწყობე ფართსა და გასასვლელებში უზრუნველყოფილია თუ არა თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა?</p>			
<p>უზრუნველყოფილია თუ არა ობიექტის დროული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა.</p>			
<p>სხვა გარემოებები:</p>			

სექცია II: დამატებითი ვალდებულებები დახურული ტიპის ბაზრობებისთვის			
	მოთხოვნები		მოქმედება/კომენტარი
	დიახ	არა	
დახურულ სივრცეში განთავსებული ინდივიდუალური მოსარგებლეების სავაჭრო ობიექტის შესასვლელში არის თუ არა განთავსებული დეზობარიერები და უზრუნველყოფილია თუ არა დეზინფექტანტით მათი რეგულარული განახლება?			
სამუშაო ადგილებზე განთავსებულია თუ არა ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები, ხშირად გამოყენებული ზედაპირების დასამუშავებლად და მათი სწორად მოხმარების წესები?			
ყოველი ცვლის შემდგომ არის თუ არა გამოყენებული სანიტარიული შესვენებები?			
უზრუნველყოფილია თუ არა სამუშაო პროცესში ბუნებრივი ვენტილაციის უწყვეტი რეჟიმი? ბუნებრივი			

ვენტილაციის შეუძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილია თუ არა უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერით?			
უზრუნველყოფილია თუ არა სამუშაო სივრცის დროული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა?			
ინდივიდუალური სავაჭრო ფართით მოსარგებლე პირის მიერ შესასვლელში უზრუნველყოფილია თუ არა ხელის ანტისეპტიკური საშუალებების განთავსება?			
ყოველი სამუშაო დღის შემდგომ არის თუ არა უზრუნველყოფილი საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით?			
სხვა გარემოებები:			

სექცია III: ბაზრობებზე მოვაჭრე პერსონალის ვალდებულებები			
	მოთხოვნები		მოქმედება/კომენტარი
	დიახ	არა	
სამუშაო ადგილზე იცავთ თუ არა ჰიგიენის წესებს?			
იცავთ თუ არა სოციალური დისტანციას (არანაკლებ 2მ)?			
სამუშაოების შესრულებისას იყენებთ თუ არა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს: ნიღაბი, ხელთათმანი, საჭიროების შემთხვევაში – სახის დამცავი ფარი?			
სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით ასუფთავებთ თუ არა სამუშაო ადგილებს და იმ ხელსაწყოებს, რომელთაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას?			
სხვა გარემოებები:			

დამსაქმებლის ხელმოწერა:

საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენლის ხელმოწერა:

დანართი №1.2.2.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №01-130/ნ - ვებგვერდი, 25.12.2020წ.

ზოგადი კითხვარი

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სავაჭრო ცენტრებისთვის (მოლებისთვის)

1.	ორგანიზაციის დასახელება:
	საიდენტიფიკაციო ნომერი:
	ტელეფონი:
	ელ.ფოსტა:

2. საქმიანობის სფერო:
.....

3. ობიექტის მისამართი
იურიდიული:
(ქალაქი/რაიონი, ქუჩა, ქუჩის ნომერი)

ფაქტობრივი:
(ქალაქი/რაიონი, ქუჩა, ქუჩის ნომერი)

4. დაწესებულების ხელმძღვანელი:
(სახელი, გვარი)

5. საკონტაქტო პირი:
(სახელი, გვარი)

საკონტაქტო ინფორმაცია:
(ტელეფონი/ელ.ფოსტა)

6. ზედამხედველი ჯგუფის წევრები
(სახელი, გვარი)

7. ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა

სულ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა რაოდენობა:

ქალი	მამაკაცი	არასრულწლოვანი 18 წლამდე	შშმ პირი	სულ

დისტანციურად დასაქმებული:

ქალი	მამაკაცი	არასრულწლოვანი 18 წლამდე	შშმ პირი	სულ

შეცვების თარიღი:

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

(წელი, თვე, რიცხვი)

სექცია I: სავაჭრო ცენტრის (მოლის) ადმინისტრაციის მიერ შესასრულებელი მოთხოვნები			
	მოთხოვნები		მოქმედება/ კომენტარი
	დიახ	არა	
უზრუნველყოფილია თუ არა სავაჭრო ცენტრში (მოლში) ცალმხრივი შესასვლელისა და გასასვლელის შერჩევა?			
ერთიან შესასვლელში მოწყობილია თუ არა თერმოსკრინინგის კამერა სკანირებისთვის?			
ხდება თუ არა სავაჭრო ცენტრის სივრცეში მომხმარებელთა დაშვება სათანადო გაანგარიშების შესაბამისად (ინდივიდუალური მაღაზიებისათვის დაწესებული გათვლის პრინციპის გათვალისწინებით - 20 მ ² /10მ ² -ზე - 1 მომხმარებელი)?			
მიმდინარეობს თუ არა სავაჭრო ცენტრის სივრცეში დაშვებული მომხმარებლების რაოდენობის კონტროლი ელექტრონული ან/და მატერიალური სახით?			

სავაჭრო ცენტრის შესასვლელთან არის თუ არა უზრუნველყოფილი არანაკლებ 70% სპირტის შემცველი ხელის დეზინფექციისთვის საჭირო ხსნარი მომხმარებლების/მესამე პირებისთვის?			
ერთიან შესასვლელში განთავსებულია თუ არა დეზობარიერი? შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით?			
მოლის საერთო სივრცეში კონტროლდება თუ არა მომხმარებელთა ნაკადი შესაბამისი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2მ)?			
ხდება თუ არა სავაჭრო ცენტრის სივრცეში მომხმარებელთა მიერ ნიღბის გამოყენების კონტროლი?			
მომხმარებელთა ნაკადის სამართავად და უსაფრთხო დისტანციის დასაცავად გამოიყენება თუ არა სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე შესაბამისი სტიკერები/ნახაზები)?			
უზრუნველყოფილია თუ არა საერთო გამოყენების ფართების სველი წესით დამუშავება/დეზინფექცია („ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-123/ო ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად)?			
უზრუნველყოფილია თუ არა ხშირად გამოყენებული ზედაპირების სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება ყოველ 2 საათში (ესკალატორების სახელოურები, ლიფტის ღილაკები, მოაჯირები, კარების სახელოურები, საბანკო ტერმინალები)?			
მიმდინარეობს თუ არა დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 2 საათიანი ინტერვალებით, სანიტარული კვანძების დალაგება და დეზინფექცია?			

<p>ინფექციის რისკის შემცირების მიზნით, მიმდინარეობს თუ არა (მათ შორის აუდიო/ვიდეო ტექნიკის გამოყენებით), მომხმარებელთა ინფორმირება კორონავირუსის გავრცელების პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ?</p>			
<p>სავაჭრო ცენტრის სივრცეში არის თუ არა განთავსებული დასაქმებულების, მომხმარებლების, მესამე პირთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პარკი?</p>			
<p>უზრუნველყოფილია თუ არა უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერის მაღალი კონცენტრაციით (არის თუ არა არანაკლებ ვენტილაცია მომართული 40% გარედან შემოსული ჰაერის ცირკულაციის რეჟიმზე)?</p>			
